აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო
Supreme Council of Automous Republic of Ajara

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომიტეტის

2021-2022 წლების
სამოქმედო გეგმა

ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო
Supreme Council of Automous Republic of Ajara

UNDP

სამოქმედო გეგმა შექმნილია ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია მისი ავტორი და შესაძლოა, იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) შეხედულებებს.

კომიტეტის შესახებ

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომიტეტი (შემდგომში - კომიტეტი) ემსახურება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკანონმდებლო ბაზის თავსებადობის უზრუნველყოფას საქართველოს პარლამენტის მიერ შემუშავებულ საკანონმდებლო ბაზასთან, მის დანერგვაზე ზედამხედველობას და იმ ღონისძიებათა კოორდინირებას, რაც აუცილებელია რეგიონში განათლების სისტემის ხარისხის ამაღლებისთვის, სამეცნიერო საქმიანობის ხელშეწყობისთვის, კულტურის და სპორტის განვითარებისა და პოპულარიზაციისთვის.

ამ მიზნით, კომიტეტი შეიმუშავებს, განიხილავს და უმაღლესი საბჭოს პლენარული სხდომისთვის ამზადებს საკანონმდებლო ინიციატივებს, ზედამხედველობს შესაბამისი დარგობრივი სამინისტროს საქმიანობას, ხელმძღვანელობს გამჭვირვალობისა და ღიაობის პრინციპით და უზრუნველყოფს საკუთარ საქმიანობაში საზოგადოების ჩართულობას.

სამოქმედო გეგმა განსაზღვრავს კომიტეტის საქმიანობის სტრატეგიულ მიმართულებებს 2021-2022 წლებისთვის. გეგმით გათვალისწინებული აქტივობები ეფუძნება კომიტეტის წარსულ გამოცდილებას და ითვალისწინებს არსებულ შესაძლებლობებს და გამოწვევებს. სამოქმედო გეგმა სამუშაო დოკუმენტია, რომელიც ექვემდებარება განახლებას საჭიროებათა შესაბამისად.

კომიტეტმა 2021-22 წლებისთვის შემდეგი **სტრატეგიული მიზნები** დაისახა:

1. საკანონმდებლო საქმიანობის გაუმჯობესება;
2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობისა და უმაღლესი საბჭოს წინაშე ანგარიშვალდებული სხვა ორგანოების საქმიანობაზე ეფექტიანი კონტროლის განხორციელება;
3. საზოგადოებასთან ეფექტიანი კომუნიკაცია, საჯაროობა და ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფა;
4. კომიტეტის ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერება.

სტრატეგიული მიზანი 1:
საკანონმდებლო საქმიანობის გაუმჯობესება

სრულყოფილი საკანონმდებლო ბაზის შექმნის, საკანონმდებლო ხარვეზების გამოსწორების და დარგობრივ სფეროებში არსებული სხვა გამოწვევების დაძლევის მიზნით, კომიტეტის პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს აქტიური კანონშემოქმედებითი საქმიანობა განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მიმართულებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უფლებამოსილების ფარგლებში.

სტრატეგიული მიზანი 2:
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობისა და უმაღლესი საბჭოს წინაშე ანგარიშვალდებული სხვა ორგანოების საქმიანობაზე ეფექტიანი კონტროლის განხორციელება

კომიტეტი, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, კონტროლს გაუწევს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობისა და უმაღლესი საბჭოს წინაშე ანგარიშვალდებული სხვა ორგანოების საქმიანობას.

უმაღლესი საბჭოს წინაშე პასუხისმგებელი დარგობრივი უწყების ანგარიშვალდებულების ასამაღლებლად, უმაღლესი საბჭოს რეგლამენტით განსაზღვრულ ინსტრუმენტებზე დაყრდნობით, შეიმუშავებს ეფექტიანი ზედამხედველობის სისტემას, გააძლიერებს მონიტორინგს დარგობრივი მიმართულების პროგრამების სწორ და ეფექტურ განხორციელებაზე.

სტრატეგიული მიზანი 3:
საზოგადოებასთან ეფექტიანი კომუნიკაცია, საჯაროობა და ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფა

კომიტეტი უზრუნველყოფს საკუთარი საქმიანობის საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას ყველა დაინტერესებული პირისთვის, მისი წევრების და დარგობრივი უწყებების მიმდინარე თუ დაგეგმილი აქტივობებისა და საქმიანობის შესახებ ინფორმაციის უმაღლესი საბჭოს ვებ-გვერდზე განთავსების გზით.

ღიაობისა და გამჭვირვალობის პრინციპების შესაბამისად კომიტეტი ითანამშრომლებს მედიასაშუალებებთან და კომიტეტის კომპეტენციას მიკუთვნებული ნებისმიერი საკითხით დაინტერესებულ მოქალაქეებთან. სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა აამაღლებს კომიტეტის საქმიანობის ეფექტიანობას და ხელს შეუწყობს აღმასრულებელი ხელისუფლების ანგარიშვალდებულების ზრდას უმაღლესი საბჭოს, როგორც ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს მიმართ.

სტრატეგიული მიზანი 4:
კომიტეტის ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერება

მუშაობის ეფექტიანობის ასამაღლებლად კომიტეტი უზრუნველყოფს კომიტეტის აპარატის თანამშრომლებს შორის ფუნქციების და ამოცანების სწორ გადანაწილებას, გუნდური მუშაობის პრინციპის გაძლიერებას, დანერგავს მუშაობის შეფასებისა და წახალისების მექანიზმებს. კომიტეტი შეიმუშავებს აპარატის თანამშრომელთა საჭირო ტრენინგებით უზრუნველყოფის ხედვას და უმაღლესი საბჭოს ბიუჯეტიდან, ან დონორთა მხრიდან დაფინანსების შემთხვევაში, გამოიყენებს სპეციალური ცოდნის მქონე ექსპერტების რჩევებს, რაც ხელს შეუწყობს აპარატის შესაძლებლობების გაძლიერებას.

გეგმის შემუშავების პროცესი

2021 წლის 23 ივნისს, საკანონმდებლო ორგანოში მიმდინარე რეფორმების ფარგლებში, რომელიც ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით, პროექტის - „საპარლამენტო დემოკრატიის კონსოლიდაცია საქართველოში“ ფარგლებში ხორციელდება, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომიტეტის 2021-22 წლების სამოქმედო გეგმის საჯარო განხილვა გაიმართა.

განხილვას, კომიტეტის წევრებისა და აპარატის თანამშრომლების გარდა, ესწრებოდნენ აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრი - მაია ხაჯიშვილი, მუნიციპალიტეტების რესუს-ცენტრების ხელმძღვანელები; განათლების, კულტურისა და სპორტის შესაბამისი სამსახურის წარმომადგენლები და არასამთავრობო ორგანიზაციები.

განხილვის დროს გამოთქმული მოსაზრებები და წინადადებები, მათ შორის, ცალკეულ პროექტებზე (მაგ. განათლების და მეცნიერების ქალაქზე), მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდის პროცესების მიმდინარეობაზე და ა.შ. ინფორმაციის აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების მხრიდან მოსმენის თაობაზე, აისახა კომიტეტის სამოქმედო გეგმაში.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომიტეტის
2021-2022 წლების სამოქმედო გეგმა

სტრატეგიული მიზანი 1 - საკანონმდებლო საქმიანობის გაუმჯობესება

№	აქტივობა	პასუხისმგებელი პირი		სხვა მონაწილე მხარე	შესრულების ვადები	შესრულების ინდიკატორი	ვერიფიკაციის წყარო
		კომიტეტის წევრი	აპარატის თანამშრომელი				
1	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ჩართულობით, სამუშაო ჯგუფების შექმნა საკანონმდებლო ინიციატივებთან დაკავშირებით	დ. ბაციკაძე ი. ჩავლეიშვილი ვ, მგალობლიშვილი ნ. ვარშანიძე დ. თედორაძე	ნ. აბულაძე ნ. ანთიძე	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	საჭიროების მიხედვით	სამუშაო ჯგუფი (ჯგუფები) შექმნილია	ოქმები სამუშაო ჯგუფების შექმნისა და ჩატარებული შეხვედრების თაობაზე
2	არსებული საკანონმდებლო ბაზის ანალიზი და წინადადებების შემუშავება საკანონმდებლო ინიციატივების თაობაზე	დ. ბაციკაძე ი. ჩავლეიშვილი ვ, მგალობლიშვილი ნ. ვარშანიძე დ. თედორაძე	ნ. აბულაძე ნ. ანთიძე		მოთხოვნისამებრ	შემუშავებულია დასკვნა ანალიზის შედეგების მიხედვით. საკანონმდებლო ინიციატივა/ები მომზადებულია	კომიტეტის სხდომის დასკვნა. საკანონმდებლო ინიციატივა(ები)

სტრატეგიული მიზანი 2 - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობისა და უმაღლესი საბჭოს წინაშე ანგარიშვალდებული სხვა ორგანოების საქმიანობაზე ეფექტიანი კონტროლის განხორციელება

№	აქტივობა	პასუხისმგებელი პირი		სხვა მონაწილე მხარე	განხორციელე-ბის ვადები	შესრულების ინდიკატორი	ვერიფიკაციის წყარო
		კომიტეტის წევრი	აპარატის თანამშრომელი				
1	ინფორმაციის მოსმენა პანდემიის პირობებში, ზოგადი განათლების მიმართულებით განხორციელებული და მიმდინარე ღონისძიებების თაობაზე	დ. ბაციკაძე	ნ. აბულაძე ნ. აბუსელიძე	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	2021 წლის მარტი	საკომიტეტო მოსმენა ჩატარებულია	კომიტეტის სხდომის ოქმი და დასკვნა
2	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ინფორმაციის მოსმენა გასულ წელს გაწეული საქმიანობის შესახებ	დ. ბაციკაძე	ნ. აბულაძე ნ. ანთიძე	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	2021 წლის მარტი; 2022 წლის თებერვალი	საკომიტეტო მოსმენა ჩატარებულია	სხდომის ოქმი

3	სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვების განათლების სფეროში არსებული პრობლემების, სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესახებ ინფორმაციის მოსმენა	დ. ბაციკაძე დ. თედორაძე	ნ. აბულაძე ნ. აბუსელიძე	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	2021 წლის აპრილი; 2022 წლის ოქტომბერი	საკომიტეტო მოსმენა ჩატარებულია	კომიტეტის სხდომის ოქმი; მოსმენის შესაბამისად მომზადებული დასკვნა
4	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ინფორმაცია მიზნობრივი პროგრამების მიმდინარეობის თაობაზე	დ. ბაციკაძე ი. ჩავლეიშვილი ვ, მგალობლიშვილი ნ. ვარშანიძე დ. თედორაძე	ნ. აბულაძე ნ. ანთიძე	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	2021 წლის ივნისი; 2022 წლის მარტი	საკომიტეტო მოსმენა ჩატარებულია	კომიტეტის სხდომის ოქმი, მოსმენის შესაბამისად მომზადებული დასკვნა
5	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ინფორმაცია მასწავლებელთა სასერთიფიკაციო გამოცდების შედეგებზე	დ. ბაციკაძე	ნ. აბულაძე ნ. ანთიძე	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	2021 წლის სექტემბერი	საკომიტეტო მოსმენა ჩატარებულია	კომიტეტის სხდომის ოქმი; მოსმენის შესაბამისად მომზადებული დასკვნა
6	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ინფორმაცია საჯარო სკოლების მშენებლობა-რეაბილიტაციის მიზნობრივი პროგრამის განხორციელების მიზნით გაწეული საქმიანობის შესახებ	დ. ბაციკაძე ი. ჩავლეიშვილი	ნ. აბულაძე ნ. ანთიძე	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	2021 წლის აგვისტო; 2022 წლის სექტემბერი	საკომიტეტო მოსმენა ჩატარებულია	კომიტეტის სხდომის ოქმი; მოსმენის შესაბამისად მომზადებული დასკვნა
7	მუნიციპალიტეტების რესურსცენტრების ხელმძღვანელებთან შეხვედრა	დ. ბაციკაძე ნ. ვარშანიძე	ნ. აბულაძე ნ. აბუსელიძე	სამინისტრო, რესურსცენტრის ხელმძღვანელები	2021 წლის სექტემბერი; 2022 წლის სექტემბერი	საკომიტეტო მოსმენა ჩატარებულია	შეხვედრაზე გამოთქმული მოსაზრებებისა და წინადადებების შესაბამისად მომზადებული დასკვნა
8	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ინფორმაციის მოსმენა აჭარაში დაცული კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლების რეაბილიტაციისა და კონსერვაციის მიზნობრივი პროგრამის განხორციელების შესახებ	დ. ბაციკაძე ი. ჩავლეიშვილი ვ, მგალობლიშვილი ნ. ვარშანიძე დ. თედორაძე	ნ. აბულაძე ნ. ანთიძე	აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	2021 წლის აგვისტო; 2022 წლის აგვისტო	საკომიტეტო მოსმენა ჩატარებულია	კომიტეტის სხდომის ოქმი, მოსმენის შესაბამისად მომზადებული დასკვნა

9	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ინფორმაციის მოსმენა განათლებისა და მეცნიერების ქალაქის მშენებლობის მიმდინარეობის თაობაზე	დ. ბაციკაძე ვ. მგალობლიშვილი	ნ. აბულაძე ნ. აბუსელიძე	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	2021 წლის ივლისი	საკომიტეტო მოსმენა ჩატარებულია	კომიტეტის სხდომის ოქმი, მოსმენის შესაბამისად მომზადებული დასკვნა
10	გასვლითი სხდომა პროფესიულ კოლეჯში	დ. ბაციკაძე ი. ჩავლეიშვილი ვ, მგალობლიშვილი ნ. ვარშანიძე დ. თედორაძე	ნ. აბულაძე ნ. ანთიძე	სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯის ადმინისტრაცია	2021 წლის ნოემბერი; 2022 წლის მაისი	სხდომა ჩატარებულია	სხდომის ოქმი, კოლეჯის ადმინისტრაციის ჩართულობით მომზადებული დასკვნა
11	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ინფორმაციის მოსმენა წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის შესახებ	დ. ბაციკაძე ვ. მგალობლიშვილი	ნ. აბულაძე ნ. აბუსელიძე	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	2021 წლის დეკემბერი; 2022 წლის დეკემბერი	საკომიტეტო მოსმენა ჩატარებულია	კომიტეტის სხდომის ოქმი, მოსმენის შესაბამისად მომზადებული დასკვნა
12	თემატური მოკვლევა სკოლისგარეშე სახელოვნებო და სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულებებში მოსწავლეთა ჩართულობის შესახებ, მუნიციპალიტეტების მიხედვით	დ. ბაციკაძე ი. ჩავლეიშვილი ვ, მგალობლიშვილი ნ. ვარშანიძე დ. თედორაძე	ნ. აბულაძე ნ. ანთიძე	არასამთავრობო და დონორი ორგანიზაციები. სამინისტრო, ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოები	2021 წლის სექტემბერ-დეკემბერი	თემატური მოკვლევა ჩატარებულია; რეკომენდაციები შემუშავებულია	თემატური მოკვლევის დაწყებასთან დაკავშირებული სხდომის ოქმი; თემატური მოკვლევის ანგარიში
13	თემატური მოკვლევა საჯარო სკოლებში ბიბლიოთეკებისა და წიგნადი ფონდის მდგომარეობის შესახებ, მუნიციპალიტეტების მიხედვით	დ. ბაციკაძე ი. ჩავლეიშვილი ვ, მგალობლიშვილი ნ. ვარშანიძე დ. თედორაძე	ნ.აბულაძე ნ.აბუსელიძე	არასამთავრობო და დონორი ორგანიზაციები. აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	2022 წლის თებერვალი-ივნისი	თემატური მოკვლევა ჩატარებულია; რეკომენდაციები შემუშავებულია	თემატური მოკვლევის დაწყებასთან დაკავშირებული სხდომის ოქმი; თემატური მოკვლევის ანგარიში

სტრატეგიული მიზანი 3 - საზოგადოებასთან ეფექტიანი კომუნიკაცია, საჯაროობა და ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფა

№	აქტივობა	პასუხისმგებელი პირი		სხვა მონაწილე მხარე	შესრულების ვადები	შესრულების ინდიკატორი	ვერიფიკაციის წყარო
		კომიტეტის წევრი	აპარატის თანამშრომელი				
1	კომიტეტის 2021-2022 წლების სამოქმედო გეგმის პრეზენტაცია	დ. ბაციკაძე	ნ. აბულაძე ნ. ანთიძე	აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	2021 წლის თებერვალი; 2022 წლის თებერვალი	შეხვედრა ჩატარებულია, შეხვედრის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია საბჭოს ვებიგვერდზე	მონაწილეთა სია; ვებ-გვერდი
2	უმაღლესი სასწავლებლების თვითმმართველობების წარმომადგენლობასთან შეხვედრა	დ. ბაციკაძე ნ. ვარშანიზე	ნ. აბულაძე ნ. აბუსელიძე	უმაღლესი სასწავლებლების თვითმმართველობების თავმჯდომარეები	2021 წლის სექტემბერი; 2022 წლის ნოემბერი	შეხვედრა ჩატარებულია	მიღებული ინფორმაციის შესაბამისად მომზადებული დასკვნა
3	შეხვედრა უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს წევრებთან	დ. ბაციკაძე ი. ჩავლეიშვილი ვ, მგალობლიშვილი ნ. ვარშანიძე დ. თედორაძე	ნ. აბულაძე ნ. ანთიძე	სამეცნიერო საბჭოს წევრები	2021 წლის სექტემბერი; 2022 წლის ნოემბერი	შეხვედრა ჩატარებულია	მიღებული ინფორმაციის შესაბამისად მომზადებული დასკვნა
4	ხულოს მუნიციპალიტეტის სოფლების საჯარო სკოლების დირექტორებთან შეხვედრა	დ. ბაციკაძე ი. ჩავლეიშვილი ვ, მგალობლიშვილი ნ. ვარშანიძე დ. თედორაძე	ნ. აბულაძე ნ. აბუსელიძე	ხულოს მუნიციპალიტეტის რესურსცენტრი	2021 წლის სექტემბერი; 2022 წლის სექტემბერი	შეხვედრა ჩატარებულია	მიღებული ინფორმაციის შესაბამისად მომზადებული დასკვნა
5	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლის დირექტორებთან შეხვედრა	დ. ბაციკაძე ნ. ვარშანიზე	ნ. აბულაძე ნ. ანთიძე	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის რესურსცენტრი	2021 წლის ოქტომბერი; 2022 წლის ოქტომბერი	შეხვედრა ჩატარებულია	მიღებული ინფორმაციის შესაბამისად მომზადებული დასკვნა
6	ბათუმის მუსიკალური სფეროს წარმომადგენლებთან შეხვედრა	დ. ბაციკაძე ი. ჩავლეიშვილი	ნ. აბულაძე ნ. აბუსელიძე	ქ.ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრის წარმომადგენლები	2021 წლის აგვისტო; 2022 წლის მაისი	შეხვედრა ჩატარებულია	გამოთქმული შენიშვნებისა და წინადადებების შესაბამისად მომზადებული დასკვნა

7	ქობულეთის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის თანამშრომლებსა და ფოლკლორული ჯგუფების ხელმძღვანელებთან შეხვედრა	დ. ბაციკაძე ი. ჩავლეიშვილი ვ, მგალობლიშვილი ნ. ვარშანიძე დ. თედორაძე	ნ. აბულაძე ნ. ანთიძე	ქობულეთის კულტურის ცენტრის ხელმძღვანელი	2021 წლის ნოემბერი; 2022 წლის ოქტომბერი	შეხვედრა ჩატარებულია	მიღებული ინფორმაციის შესაბამისად მომზადებული დასკვნა
8	სასპორტო სკოლების ხელმძღვანელებთან შეხვედრა	დ. ბაციკაძე ი. ჩავლეიშვილი	ნ. აბულაძე ნ. აბუსელიძე	განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	2021 წლის აგვისტო; 2022 წლის სექტემბერი	შეხვედრა ჩატარებულია	მიღებული ინფორმაციის შესაბამისად მომზადებული დასკვნა
9	მუზეუმების ხელმძვანელთა ინფორმაცია სამუზეუმო საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით და წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის შესახებ	დ. ბაციკაძე ი. ჩავლეიშვილი ვ. მგალობლიშვილი ნ. ვარშანიძე დ. თედორაძე	ნ. აბულაძე ნ. ანთიძე	მუზეუმების გაერთიანების სსიპ „აჭარის მუზეუმის“ ხელმძღვანელობა	2021 წლის ნოემბერი; 2022 წლის აგვისტო	სხდომა ჩატარებულია	მიღებული ინფორმაციის შესაბამისად მომზადებული დასკვნა
10	ქედის საჯარო სკოლების დირექტორებთან შეხვედრა, საკითხის შესწავლა სასწავლო წლის დაწყების წინ	დ. ბაციკაძე ი. ჩავლეიშვილი	ნ. აბულაძე ნ. აბუსელიძე	ქედის მუნიციპალიტეტის რესურსცენტრი	2021 წლის სექტემბერი; 2021 წლის სექტემბერი	შეხვედრა ჩატარებულია	მიღებული ინფორმაციის შესაბამისად მომზადებული დასკვნა
11	წლის წარმატებულ სპორტსმენებთან შეხვედრა ხულოს მუნიციპალიტეტში	დ. ბაციკაძე ნ. ვარშანიძე	ნ. აბულაძე ნ. აბუსელიძე	ხულოს მუნიციპალიტეტის გამგეობა	2021 წ დეკემბერი	შეხვედრა ჩატარებულია	მიღებული ინფორმაციის შესაბამისად მომზადებული დასკვნა
12	კომიტეტისა და კომიტეტის წევრთა აქტივობების შესახებ ინფორმაციის საჯაროობის უზრუნველყოფა	დ. ბაციკაძე	ნ. აბულაძე ნ. ანთიძე	საკითხით დაინტერესებული მოქალაქეები და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები	რეგულარულად	საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილია უმაღლესი საბჭოსა და კომიტეტის ოფიციალურ გვერდებზე და სოც. ქსელებში	ვებ-გვერდი, სოც.ქსელები
13	შუახევის მუნიციპალიტეტის სოფლების საჯარო სკოლების დირექტორებთან შეხვედრა	დ. ბაციკაძე ი. ჩავლეიშვილი ვ. მგალობლიშვილი ნ. ვარშანიძე დ. თედორაძე	ნ. აბულაძე ნ. აბუსელიძე	შუახევის მუნიციპალიტეტის რესურსცენტრი	2021 წლის ოქტომბერი; 2022 წლის ოქტომბერი	შეხვედრა ჩატარებულია	მიღებული ინფორმაციის შესაბამისად მომზადებული დასკვნა

14	კომიტეტის სხდომებსა და ღია სამუშაო შეხვედრებზე დაინტერესებული პირების დასწრების უზრუნველყოფა	დ. ბაციკაძე	ნ. აბულაძე ნ. ანთიძე	დაინტერესებული მოქალაქეები და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები	რეგულარულად	კომიტეტის სხდომებზე ინფორმაცია წინასწარ, გონივრული ვადით ადრე არის ხელმისაწვდომი დაინტერესებული პირებისთვის, კომიტეტის აპარატი უზრუნველყოფს დაინტერესებული პირების მოწვევას საკომიტეტო განხილვებში მონაწილეობის მისაღებად	სხდომის ოქმი, დამსწრეთა სია
15	საზოგადოებისთვის ანგარიშის წარდგენა კომიტეტის მიერ წლის განმავლობაში გაწეული საქიმანობის შესახებ	დ. ბაციკაძე ი. ჩავლეიშვილი ვ. მგალობლიშვილი ნ. ვარშანიძე დ. თედორაძე	ნ. აბულაძე ნ. აბუსელიძე ნ. ანთიძე	სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები	2021 წლის დეკემბერი; 2022 წლის დეკემბერი	შეხვედრა ჩატარებულია; შეხვედრის შესახებ ინფორმაცია გაშუქებულია საინფორმაციო საშუალებებში	მონაწილეთა სია; მედიაში გავრცელებული ინფორმაცია; საბჭოს ვებ-გვერდი და სოც.ქსელები
16	ქედის საჯარო სკოლების დირექტორებთან შეხვედრა, საკითხის შესწავლა სასწავლო წლის დაწყების წინ	დ. ბაციკაძე ი. ჩავლეიშვილი	ნ. აბულაძე ნ. აბუსელიძე	ქედის მუნიციპალიტეტის რესურსცენტრი	2021 წლის ნოემბერი; 2022 წლის აგვისტო	შეხვედრა ჩატარებულია	მიღებული ინფორმაციის შესაბამისად მომზადებული დასკვნა

სტრატეგიული მიზანი 4 - კომიტეტის ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერება

№	აქტივობა	პასუხისმგებელი პირი		სხვა მონაწილე მხარე	შესრულების ვადები	შესრულების ინდიკატორი	ვერიფიკაციის წყარო
		კომიტეტის წევრი	აპარატის თანამშრომელი				
1	ტრენინგი კვლევის ორგანიზებასთან დაკავშირებული ცოდნისა და უნარ-ჩვევების გაღრმავების მიზნით		ნ. აბულაძე ნ. აბუსელიძე ნ. ანთიძე	უმაღლესი საბჭოს აპარატი; საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციები	შეთანხმების შესაბამისად	ტრენინგი ჩატარებულია	მონაწილეთა სია; დამადასტურებელი სერტიფიკატი
2	ტრენინგი „სამართლებრივი წერის" უნარების განვითარების მიზნით		ნ. აბულაძე ნ. აბუსელიძე ნ. ანთიძე	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატი; საქართველოს პარლამენტის აპარატი	შეთანხმების შესაბამისად	ტრენინგი ჩატარებულია	მონაწილეთა სია; დამადასტურებელი სერტიფიკატი